შპს "მაირი-98" "MAIRI-98" LTD

№ 12 "20" 06 2012 წ.

ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

ქ.თბილისის

მექანიზაციის ქ.№1 20 ივნისი 2012 წელი

შ.პ.ს."მაირი–98" ს/კ 200239688, ("მეიჯარე"), რომელსაც წარმოადგენს სერგო მაისურაძე, პ/ნ 01007001026, თანხმობას აძლევს შ.პ.ს."რეგალ"-ს ("მოიჯარე") ს/კ 400013891,რომ მოაწყოს კონდინციერების სისტემა შ.პ.ს."რეგალ"-ის მიერ დაქირავებულ ფართზე, აწარმოოს საჭირო სამუშაოები როგორც გარე პერიმეტრზე, ფასადზე, ასევე შენობის შიგნით.

განცხადებას ერთვის: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

შ.პ.ს."მაირი-98"-ის დირექტორი

ს.მაისურაძე

საქართველო, თბილისი, მექანიზაციის ქ. №1; ტელ.: 69 03 53; მობ.: 899 93 99 63
1 Mekanizatsia str., Tbilisi, Georgia; Tel.: 69 03 53; Mob.: 899 93 99 63

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1

არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გადაცემის შესახებ

ქ.თბილისი 10 იანვარი 2011 წელი

მექანიზაციის №1

შ.პ.ს. "მაირი-98", საიდენტიფიკაციო კოდი 200239688, რეგისტრაციის მოწმობა სერია თბი №07717, იურდიული მისამართი ქ. თბილისი მექანიზაციის ქ. №1, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №011212002012, შემდგომში "მეიჯარე" მისი დირექტორის ბატონ სერგო მაისურაძის სახით, ერთის მხრივ და შ.პ.ს. "რეგალ" შემდგომში "მოიჯარე" მისი დირექტორის ბატონ კახა ხმელიძის სახით, მეორეს მხრივ ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მეიჯარე" გამოსყიდვის უფლების გარეშე გადასცემს "მოიჯარეს" მექანიზაციის ქ. №1-ში საკადასტრო კოდი 011212002012 მდებარე 135 $მ^2$ არასაცხოვრებელ ფართს, რომელსაც გამოიყენებს სასაწყობო და საოფისე მიზნით;

1.2. იჯარის ვადა განისაზღვრება 1 წლით და ძალაში შედის 2011 წლის 10 იანვრიდან. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ჩაითვლება გაგრძელებულად თუ მხარეები ერთი თვით ადრე წერილობით არ აცნობებენ ერთმანეთს შეწყვეტის შესახებ.

1.3. იჯარის ქირავნობის სიდიდე თვეში შეადგენს 490 (ოთხას ოთხმოცდაათი) აშშ დოლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

1.4. ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში არსებული კურსის მიხედვით.

II.მხარეთა ვალდებულებები

2.1 "მეიჯარე" იღებს ვალდებულებას:

-ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან გადასცეს "მოიჯარეს" შესაბამისი ფართი;

-შეძლებისდაგვარად გაუწიოს კომუნალური მომსახურეობა, რომელიც საზოგადოებას გააჩნია;

-"მეიჯარე"-ს უფლება აქვს "მოიჯარე"-ს მიერ გადასახადების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში წინასწარი გაფრთხილების გარეშე "მოიჯარე"-ს შეუწყვიტოს კომუნალური მომსახურეობა (ელ.ენერგია, გაზი, წყალი).

2.2. "მოიჯარე" იღებს ვალდებულებას:

-გადაუხადოს "მიჯარეს" ქირავნობის თანხა ყოველი თვის დასაწყისში არაუგვიანეს 10 რიცხვისა;

- ყოველი თვის 20 რიცხვამდე გადაუხადოს "მეიჯარეს" გადასახადი კომუნალურ მომსახურეობაზე კონკრეტულ დანახარჯების მიხედვით, რომელსაც მას წარუდგენს "მეიჯარე";

-დაფაროს ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები;

-იღებს სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას იჯარით აღებულ ქონების დაცვაზე მის მოვლა პატრონობასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;

-არ მოახდენს შენობების და ტერიტორიის გადაკეთებას "მეიჯარის" შეთანხმების გარეშე;

-უზრუნველყოფს სანიტარულ და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვას;

-შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნილების დაცვას;

-"მოიჯარე"-ს უფლება აქვს დააყენოს სიგნალიზაცია და დაცვის სხვა საშუალებები.

III. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. მხარეები ღებულობენ ქონებრივ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე საქართველოს კანონმდებლობის მიერ დადგენილ მოთხოვნილებისამებრ;

IV. შესაძლო დავის გადაწყვეტა

4.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ყველა შესაძლო დავას მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით;

4.2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისს, მაშინ ისინი მიმართავენ სასამართლოს;

V.ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები

5.1. ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ პირობების საფუძველზე, რომელიც მოყვანილია წინამდებარე მუხლში;

5.2. თითოეულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივი წესით გაწყვიტოს ხელშეკრულება მაშინ, თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების პირობებიდან თუნდაც ერთის დარღვევას;

5.3. ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყვეტილი იქნას ვადაზე ადრე მხრეთა შეთანხმების საფუძველზე, თუ ისინი წერილობით აუწყებენ ერთმანეთს ამის შესახებ ერთი თვით ადრე;

5.4. ხელშეკრულების გაწყვეტისას "მოიჯარეს" მის მიერ დროებით სარგებლობაში მიღებულ ობიექტის რემონტისა და რეკონსტრუქციაზე გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება;

VI.გაურკვეველი ძალის მოქმედება (ფორს-მაჟორი)

6.1. მხარეები პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან ნაწილობრივად ან მთლიანად ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულებაზე, თუკი შეუსრულებლობის მიზეზი არის

გაუთვალისწინებელი ძალა, რომელიც წარმოიქმნა ხელშეკრულების დადების შემდეგ საგანგებო სიტუაციის შედეგად და მისი წარმოშობა მხარეებისათვის უცნობი იყო;

6.2. გაუთვალისწინებელი ძალის მოქმედების გამო მხარეები ვალდებულები არიან უმოკლეს ვადაში აცნობონ წერილობით მეორე მხარეს სათანადო საბუთებით რომლებიც ამტკიცებენ ზემო აღნიშნულ გარემოებას.

VII. დასკვნითი დებულებანი

7.1. ხელშეკრულების დადების დღიდან ძალას კარგავს ყველა ადრინდელი მოლაპარაკებათა დოკუმენტები;

7.2. "მოიჯარე" ვალდებულია დროულად წარადგინოს სათანადო საბუთები მერიის დასუფთავების სამსახურში.

მხარეთა იურდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები:

"მეიჯარე"	"მოიჯარე"
შ.პ.ს "მაირი-98"	შ.პ.ს "რეგალ"
ქ.თბილისი მექანიზაციის№1	ქ.თბილისი, მექანიზაციისქ. №1
საიდ.კოდი 200239688	საიდ.კოდი 400013891
"თიბისი ბანკი"- TBCBGE22	
ანგ. GE16 TB05 10636080100005	
დირექტორი	დირექტორი
/ს. მაისურაძე/	/კ. ხმელიძე/